პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 50 (6115) 12 1978 წ. მარტი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

პირველი საერთაშორისო ეკიპაჟის კოსმოსური ფრენის პროგრამა მთლიანად შესრულებულია

საკდესის ცნობა

# კოსმონავტები გუბარევი და რემეკი დედამიწაზე დაბრუნდნენ

1978 წლის 10 მარტს „სალუტ-6" — „სოიუზ-27" — „სოიუზ-28" ორბიტულ სამეცნიერო-კვლევით კომპლექსში სამუშაოთა პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ საერთაშორისო ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ალექსი ალექსანდრეს ძე გუბარევი და მკვლევარი-კოსმონავტი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე ვლადიმერ რემეკი, დედამიწაზე დაბრუნდა. კოსმონავტები ამხანაგები რომანენკო და გრეჩკო განაგრძობენ მუშაობას „სალუტ-6" ორბიტულ სადგურში.

„სოიუზ-28" კოსმოსური ხომალდის დასაშვები აპარატი დაჯდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში 310 კილომეტრზე ქალაქ ცელინოგრადის დასავლეთით. დედამიწაზე დაშვების შემდეგ ამხანაგები გუბარევი და რემეკი თავს კარგად გრძნობენ.

განგარიშებულ დროს „სოიუზ-28" ხომალდი გამოეყო ორბიტულ კომპლექსს. პროგრამის შესაბამისად მოხდა „სოიუზ-28" ხომალდის დამუხრუჭება და მისი ნაკვეთურების გაყოფა დასაშვები აპარატის მართული ფრენის შემდეგ ამოქმედდა საპარაშუტო სისტემა. უშუალოდ დედამიწასთან ჩაირთო რბილად დაჯდომის ძრავები, რის შემდეგაც დასაშვები აპარატი ნელნელა დაეშვა დედამიწაზე.

ორბიტულ სამეცნიერო-კვლევით კომპლექსში ორი ეკიპაჟის მუშაობის დროს განხორციელდა ასტრონომიული გამოკვლევების ციკლი. კოსმონავტები ვიზუალურად აკვირდებოდნენ და ფოტოსურათებს უღებდნენ დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა რაიონს ბუნებრივი რესურსების შესწავლის მიზნით.

შვიდი დღე-ღამის ფრენის განმავლობაში ამხანაგებმა რომანენკომ, გრეჩკომ, გუბარევმა და რემეკმა შეასრულეს, აგრეთვე, მთელი რიგი ერთობლივი ტექნოლოგიური და სამედიცინო-ბიოლოგიური ექსპერიმენტები. კერძოდ, სწავლობდნენ, თუ რა გავლენას ახდენს უწონობა ნახევარგამტარი კრისტალის ზრდაზე და უდაბლესი მცენარეული ორგანიზმების განვითარებაზე.

დედამიწაზე ჩამოტანილია მასალები, რომლებშიც მოცემულია იმ გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების შედეგები, რომლებიც სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებმა და სპეციალისტებმა მოამზადეს და ერთად განახორციელეს საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელმა კოსმონავტებმა, აგრეთვე, მასალები, რომლებიც შეიცავენ „სალუტ-6" ორბიტული სადგურის წინა ფრენის დროს მიღებულ სამეცნიერო ინფორმაციას.

წარმატებით დამთავრებული საერთაშორისო კოსმოსური ექსპერიმენტი სოციალისტური ინტეგრაციის თვისებრივად ახალ ეტაპს იწყებს კოსმოსური სივრცის მეცნიერული კვლევის დარგში.

საერთაშორისო კოსმოსური ფრენის მოწყობა სკკპ XXV ყრილობის იმ კურსის კონკრეტული განხორციელებაა, რომ ყოველნაირად გაფართოვდეს და გაღრმავდეს ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან.

## მშვილდოსნობა

### სოფლის სპორტსმენთა მასპინძელი — კლაიპედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლაიპედაში ჩატარდა სოფლის სპორტსმენთა ტრადიციული საკავშირო პირველობა მშვილდოსნობაში. ასპარეზობაში „კოლმეურნის" ორმა წარმომადგენელმა საპრიზო ადგილები მოიპოვა.

ქალთა შორის ბათუმელმა სპორტის ოსტატმა ლ. ტოპოროვამ მ-1 ვარჯიშში 1215 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. ვაჟთა შორის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ვ. ტროპინმა კი 1176 ქულის მოგროვება შეძლო და III ადგილი მოიგო.

პირველობა წილად ხვდა ბაქოელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ე. ჩერმაკოვს.

რ. კაცობაშვილი.

## ჭადრაკი

### კარპოვი — ლიუბოევიჩი 1:0

ბუგოინოს (იუგოსლავია) დიდოსტატთა დიდ საერთაშორისო ტურნირში კიდევ ორი ტური (X, XI) გათამაშდა.

X ტურში მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა სძლია ერთ-ერთ ლიდერს ლ. ლიუბოევიჩს (იუგოსლავია) და დაეწია მას. იმ დღეს გამარჯვება იზეიმეს, აგრეთვე, ბ. ლარსენმა (დანია) — ვ. ჰორტთან (ჩეხოსლოვაკია) და ს. გლიგორიჩმა (იუგოსლავია) — რ. ჰიუბნერთან (გფრ).

დაზავდნენ ე. მაილსი (ინგლისი) — ე. ბუკიჩი (იუგოსლავია), ლ. პორტიში (უნგრეთი) — რ. ბირნი (აშშ), ბ. ივკოვი — მ. ვუკიჩი (ორივე — იუგოსლავია), ი. ბალაშოვი — ბ. სპასკი და ი. ტიმანი (ჰოლანდია) — მ. ტალი.

XI ტურით შეჯიბრების ფინიში დაიწყო. ლიდერები — სპასკი და ტიმანი შეხვდნენ ერთმანეთს და ყაიმზე შეთანხმდნენ. ასევე მოიქცნენ კარპოვი და ლიუბოევიჩი. პირველი დაუზავდა ვუკიჩს, მეორე — ბალაშოვს.

11 ტურის შემდეგ ბ. სპასკისა და ი. ტიმანს 7-7 ქულა აქვთ, ა. კარპოვსა და ლ. ლიუბოევიჩს — 6,5-6,5.

სათამაშო დარჩა ოთხი ტური.

# იუნიორის საუკეთესო შედეგი

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადაზე ბრძოლები უკვე მიმდინარეობს თხილამურებით რბოლაში, ფიგურულ სრიალში, ბიატლონში, ციგაობაში, ჰოკეიში... საინტერესოა, რომ თხილამურებით მორბენლებს საერთო ჯამში სულ 25 ათასი კილომეტრი აქნებათ გასავლელი. ეს ასპარეზობა ათეულ ათასობით სვერდლოვსკელის დიდ ინტერესს იწვევს — ისინი ყველა შეჯიბრებაზე მრავლად არიან.

იუნიორმა ბიატლონისტებმა კიდევ ერთ სახეობაში შეაჯამეს შედეგები. გუშინწინ ესტაფეტაში ყველას აჯობა რსფსრ-ს პირველმა ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ნოვოსიბირსკისა და პერმის ოლქების კოლექტივები.

მოციგურავეთა ასპარეზობაში ჩემპიონი გამოვლინდა კიდევ ერთ სახეობაში — ვაჟთა შორის 5000 მეტრზე რბოლაში. ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ამ დისტანციაზე, 25 წლის მოსკოველმა ს. მარჩუკმა ყველა მეტოქე ჩამოიტოვა და თითქმის ნახევარი წუთით გაასწრო... უმჯობესა სპარტაკიადების ადრინდელი მიღწევა. მისი მაჩვენებელია 7 წუთი და 12,95 წამი. ვერცხლის მედალოსანს, თანაქალაქელ მ. კუზმენკოს მან 6,30 წამი მოუგო, ბრინჯაოს მედალი მიიღო ვ. ბელოვმა (რსფსრ) — 7.22,52.

იუნიორები ამ სახეობაში 500 მეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. 19 წლის სვერდლოვსკელმა ა. მეტენიკოვმა არა მარტო თანატოლებს აჯობა, არამედ ვაჟთა შორის ქვეყნის ჩემპიონს ვ. მურატოვსაც. სვერდლოვსკელი იუნიორის შედეგი — 38,58, იუნიორთა საკავშირო მიღწევაა დაბლობის საციგურაოებისთვის.

ციგაობაში პირველნი ბრძოლაში ჩაებნენ ქალები. ერთადგილიანებით ოთხი დაშვებიდან სამი საუკეთესო შედეგის ჯამში სპარტაკიადის ოქროს მედალი ერგო მსოფლიო ჩემპიონს, რიგელ ვ. ზაზულიას, ვერცხლი მოსკოველმა ა. მაიევსკაიამ მიიღო.

დღეს სპარტაკიადაზე ჩემპიონები გამოვლინდებიან კიდევ ოთხ სახეობაში — ქალთა და გოგონათა შორის 5 კმ სათხილამურო რბოლაში, ბიატლონისტ ვაჟთა სპრინტერულ შეჯიბრებაში, 1500 მეტრზე ციგურაობაში (ვაჟები, იუნიორები) და 90-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში.

## ველოსპორტი

გაზაფხულია აჭარაში. ჰაერის ტემპერატურამ 20-22 გრადუსამდე აიწია.

კარგი ამინდით ისარგებლეს და რეგულარულ ვარჯიშს შეუდგნენ სპორტსმენები: ველოსიპედისტები, ფეხბურთელები, ნიჩბოსნები, მძლეოსნები.

ამ დღეებში ბათუმის მიდამოებში შეიძლება შეხვდეთ მრბოლელებს — სხვადასხვა სპორტული საზოგადოების ველოსიპედისტებს.

საქინფორმის კორესპონდენტის ნ. ანასტასიევის სურათზე აჭარის დედაქალაქის გარეუბანში საგზაო ტკეცილო მრბოლელთა წვრთნაა აღბეჭდილი.

## კალათბურთი

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში გუშინწინ ერთი მატჩი შედგა.

კიევის „სტროიტელმა" მიიღო ცსკა. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 103:94 (46:49).

# ტიკნერი — პირველი

...ოტავა, 10 მარტი. მართებული ...ება, თუ აქ ჩატარებულ ფიგუ...სტთა მსოფლიო ჩემპიონატს ...რეების შეჯიბრებას" ვუწო...ბთ. ამერიკელი ფიგურისტი ...ლზ ტიკნერი ერთადერთი იყო, ...მელიც არ დაცემულა. ექსპრე...თ აღსავსე თავისი კომპოზიცია ...მსუბუქად, მაღალ ტექნიკურ ...ნეზე შეასრულა და მსოფლიო ...პიონობაც მოიპოვა.

ტიკნერი 24 წლისაა, სტუდენტია. ...ჯიშობს დენვერში. მისი მწვრთ...ლია ნორმა სალინი. ტიკნერი გვი...გაიტაცა ფიგურულმა ციგურაო... და აქამდე არასდროს დაუკა...ა I ადგილი დიდ საერთაშო...ო შეჯიბრებებში.

...ვაჟთა შორის ბრძოლა ისე გამ...ვდა, რომ იან ჰოფმანიც კი, რო...იც მუდამ გულგრილობით გა...ირჩეოდა, შეკრთა. ჰოფმანი ლი...თაგან ბოლო გამოვიდა სარ...ლზე, რაც მას ერთგვარ უპირატესობას აძლევდა, მაგრამ ნერვებმა უმტყუნა... და II ადგილზე გავიდა.

სინატიფით გამოირჩეოდა ინგლისელი რობინ კაზინსის მიერ შესრულებული კომპოზიცია, მაგრამ იგი სავალდებულო პროგრამის შემდეგ იმდენად ჩამორჩა, რომ ჩემპიონობაზე ფიქრიც ზედმეტი იყო და ევროპის პირველობაზე მოპოვებულ „ბრინჯაოს" მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალიც მიუმატა.

არათანაბარი იყო შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონის, მოსკოველი ვ. კოვალიოვის გამოსვლები. იგი ლიდერობდა „სკოლის" შემდეგ, მაგრამ მერე ვერ გაუძლო დაძაბულ ფსიქოლოგიურ ბრძოლას, შეცდომები დაუშვა მოკლე პროგრამაში, არცთუ კარგად იასპარეზა ნებისმიერ პროგრამაშიც და უმედლოდ დარჩა (IV ადგილი). (საკდესი).





# დისციპლინა შეკრულეს ყოვლისა

„ლელო“ საგუშაგო
თბილისის საცურაო აუზი

**ამ საკითხზე** ყურადღების გამახვილება პირველად არ გვიხდება. ადრეც, რამდენიმე ხნის წინ თბილისის საცურაო აუზის აგებაზე მომუშავეთა სამართლიან გულისწყრომას გამოვხატავდით, როცა ვწერდით, რომ მშენებელთა კვების საკითხში ბევრი რამ იყო მოსაგვარებელი. მაგრამ მაშინ ობიექტზე ყოველდღიურად 20-25 კაცი შრომობდა და, ასე თუ ისე, იოლად გადიოდნენ. 15 იანვრის მერე, რაც აქ მარტო ტრესტ „ინჟმშენის“ № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო კი არა, კიდევ შვიდი ქვემოიჯარე ორგანიზაციის ასობით მშენებელი (სულ 240-250 კაცი) მუშაობს (თანაც „ინჟმშენი“ ორ ცვლად მუშაობს), მათი ნორმალური კვების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დადგა.

აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების სასადილო, რომელმაც თავდაპირველად იმ ოციოდე მშენებელს სტუმართმოყვარულად გაუღო კარი, ცხადია, ახლა ყველას ვერ წვდება.

ორიოდე დღის უკან „ინჟმშენის“ პარტორგანიზაციის მდივნის ჯ. ხიდაშელის ინიციატივით გამართულ გულახდილ საუბარში, თუ რა უშლით ხელს მშენებლებს, ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულად სწორედ მშრომელთა კვების საკითხი დადგა. არ დაუმალავთ, რომ წყალკანალტრესტის სასადილო აუზის მშენებლებს არასტუმართმოყვარულად ექცევა, მათ მოთხოვნებზე აქ სათანადოდ არ რეაგირებენ, ხშირად მეორე რიგში აკმაყოფილებენ, ზოგჯერ კერძები ნაკლებ კალორიულია, სადამოობით და შაბათობით კი იგი საერთოდ არ მუშაობს...

— ჩვენგან შეუძლებელს არავინ ითხოვს. სამაისოდ ობიექტის ჩაბარებისთვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ. ძნელი ამოცანა ბევრს კარგად აქვს შეგნებული და მთელ დღეს ძალების მაქსიმალურად გამოყენებით, პატიოსნად შრომობს, მაგრამ ზარმაცებიც გვირევია, რომლებიც სხვებსაც ცუდ მაგალითს აძლევენ, გასამრჯელოს კი ყველა ერთნაირად იღებს. — აღნიშნავდნენ სამუშაოთა მწარმოებლები, მოწინავე მუშები.

ისიც ითქვა, რომ ზოგიერთი სამუშაოთა მწარმოებელი მის ხელქვეითთა საქმიანობას სათანადო კონტროლს არ უწევს, ადგილი აქვს მოცდენებს, დავალებათა დაგვიანებით შესრულების შემთხვევებს...

მოიჯარეს — ტრესტ „ინჟმშენს“ აქ ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი — უფრო სწორად იმდენი, რამდენიც ყველა ქვემოიჯარეს ერთად. ამ ორგანიზაციას წელს პირველ მაისამდე 557 ათასი მანეთი უნდა აეთვისებინა, 1 მარტისთვის კი 230 ათასი მანეთი დახარჯა და მთლიანი გეგმის მხოლოდ 41,3 პროცენტი გაანაღდა.

ეს ცოტაა თუ ბევრი? ძალიან ბევრი თუ გავითვალისწინებთ, ეს ორგანიზაცია უკანასკნელი ორი თვის მანძილზე ყოველთვიურად საშუალოდ 115 ათასი მანეთის საქმეს აკეთებდა (ასეთი ტემპი მათ არასოდეს ჰქონიათ), მაგრამ ამავე დროს ეს ცოტაც არის, რადგან მარტსა და აპრილში გაცილებით მეტი თანხა დარჩათ ასათვისებელი, საქმე კი უფრო შრომატევადი ხდება.

არა და, აქ ჯერ არც იზოლაციის სამუშაოებია დაწყებული, არც აბაზანების მოპირკეთება, წყალში სახტომი კოშკი სანახევროდაც არ არის აგებული, აღარას ვამბობთ უამრავ, სხვადასხვა მასშტაბის სამუშაოებზე.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ იმასაც ვიტყვით, რომ საქმე ბრწყინვალედ არც ქვემოიჯარეებს აქვთ. მართალია, ჯანმრთელობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველომ, ქალაქის საბჭოს ვაჭრობის სამმართველოს მშენებლებმა, სანტექმონტაჟის, სამრეწველო ვენტილაციის სამმართველოსა და, ასე გასინჯეთ, საქსპორტმშენის ოსტატებმა თებერვლის უკანასკნელი კვირის გეგმები შეასრულეს, მაგრამ მათი საერთო მაჩვენებლები მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

კერძოდ, ჯანმრთელობის სამინისტროს სამშენებლო სამმართველოს პირველი მარტისთვის მთლიანი გეგმის 41,3 პროცენტი ჰქონდა განაღდებული. ვაჭრობის სამმართველოს მშენებლებს — 34 პროცენტით, სანტექმონტაჟს — 31,9 პროცენტით, სამრეწველო ვენტილაციის სამმართველოს — 30,6, საქსპორტმშენს მხოლოდ 10,9 პროცენტით (გუშინ გამართულ შტაბის მორიგ სხდომაზე გაირკვა, რომ საქსპორტმშენის თავდაპირველი გეგმა — 150 ათასი მანეთი, ზრარეალურია, მისი პროცენტული მაჩვენებელიც ამიტომ ასე დაბალი აღმოჩნდა).

უკანასკნელი კვირის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა „ინჟმშენის“ სპეციალურმა უბანმა, მაგრამ მისი საერთო გეგმიური მაჩვენებელი 37 პროცენტს მაინც ვერ აცილდა. ძალიან ჩამორჩა ქალაქის საბჭოს სარემონტო-სამშენებლო ტრესტი (მთლიანი გეგმის 21,8 პროცენტი), რომელმაც თებერვლის ბოლო კვირაში 6,2 ათასის მაგიერ 1,6 ათასი მანეთის საქმეს ძლივს მოაბა თავი.

თუ ამ მონაცემებს შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ თბილისის საცურაო აუზზე 15 იანვრიდან 1 მარტამდე მისი სამაისოდ საექსპლოატაციოდ გადაცემისთვის საჭირო მთელი საქმის მხოლოდ 34,6 პროცენტი შესრულდა. ეს ძალიან ცოტაა.

ცხადია, მოიჯარის, ქვემოიჯარე ორგანიზაციების მიერ ტემპის კიდევ უფრო გაზრდა, ურთიერთშეთანხმება და დახმარებაა საჭირო, ამას კი აქ სათანადოდ ვერ ახერხებენ, ვინაიდან შრომის ორგანიზაციაში ყველაფერი სათანადო დონეზე არ დგას: სამუშაოთა მწარმოებლებს ხშირად ადგილზე ვერ ნახავთ, მუშები კი ზოგიერთი საკითხის მათ გარეშე გადაწყვეტას ვერ ახერხებენ და ცდებიან...

საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის მდივანმა გ. გაბუნიამ მშენებლობის შტაბის ერთ-ერთ სხდომაზე სამართლიანად შენიშნა, რომ ამ ობიექტზე კვლავ არ არის კარგად საქმე, ბევრი ხელმძღვანელი არ დადის აქ, არ აკონტროლებს მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის მუშაობას, „ინჟმშენის“ მთავარ ინჟინერს უსაყვედურა შემრიგებლობა, ნაკლები მომთხოვნელობა.

აუზის მშენებლობაზე თითქმის ყველა ქვემოიჯარე ორგანიზაციის წარმომადგენლები ვინახულეთ, ვესაუბრეთ რა უჭირთ, რატომ ჩამორჩებიან... პასუხები თითქმის ერთნაირი იყო — საკმარი ფრონტის უქონლობა. საერთო ჩამორჩენის თავიდათავი კი ისევ „ინჟმშენის“ უკმარი გარჯაა.

საცურაო აუზზე მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობა ერთმანეთიდან გამომდინარეობს: „ინჟმშენმა“ პირველ რიგში ფრონტი „სანტექმონტაჟს“ და სამრეწველო ვენტილაციის სამმართველოს უნდა მისცეს, ხოლო როცა ისინი თავიანთ საქმეს მორჩებიან, სხვა ქვემოიჯარენი დაუბრკოლებლად შეასრულებენ დავალებას, მაგრამ დრო არ ითმენს და ზოგი რამ აქ ერთდროულად კეთდება. ეს კი საკმაოდ ხშირ და ხანგრძლივ შეფერხებებს იწვევს.

— საქმეს ხელი დღემდე მხოლოდ ამ მიზეზით ვერ მოვკიდეთ, — გვეუბნება „იუჟმონტაჟავტომატიკის“ სამმართველოს უფროსი ი. ყოჩიაშვილი, — ჩვენ აქ ელექტრო სამუშაოები და ავტომატიკის მონტაჟი უნდა შევასრულოთ, მაგრამ როგორ? ფილტრატორებს, საქაჩავებს, კონდიციონერებს თავიანთი ადგილები ჯერ კიდევ ვერ უპოვიათ. ავტომატიკის ოთახი თითქმის მზად არის, მაგრამ ქარხანა „[illegible]“ მშენებლობამ დღემდე ვერ მიიღო [illegible].

საუბარში გაირკვა, რომ სანტექმონტაჟი საბოილეროში ფრონტს არ იძლევა, რადგან ამ ორგანიზაციას ბოილერები დროულად არ მისცეს და ცხადია, მათი მონტაჟიც გაუგრძელდათ. უამრავი საქმეა საფილტრეებში, ფილტრების საკითხი კი ისევ გადასაწყვეტია. შენობას დღემდე არ აქვს სისტემის გასასინჯი ცივი წყალი. საქმეს ესეც აფერხებს.

შტაბის ამასწინანდელ სხდომაზე მწვავედ დადგა პრესკორპუსზე პანოს მოწყობის საკითხი. აუზის არქიტექტორს შ. ყავლაშვილს ძალიან კარგად ესმის ამ ბაზის მნიშვნელობა რესპუბლიკაში საწყლოსნო სახეობების განვითარების საქმეში, ამიტომაც ცოდნა და უნარი არ დაუშურებია ყველაფერი ისე ყოფილიყო გადაწყვეტილი, როგორც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს შეშვენის.

არქიტექტორს არც სპორტული ნაგებობის გარეგან სახეზე ზრუნვა დავიწყებია, მით უმეტეს, პრესკორპუსის გარე კედელი ერთ-ერთ საკმაოდ ინტენსიურ ქუჩაზე გადის. აი, სწორედ ამ კედლის პანოს დამზადება ივალდებულა სამხატვრო ფონდმა (დირექტორი ფ. ლორთქიფანიძე). საქმე მხატვარ კ. იგნატოვს დაევალა, მაგრამ... პანო, რომელიც თავის მუდმივ სამყოფელს უკვე უნდა იკავებდეს, მზად არც კი არის. პანოს გარეშე კი აუზის სილამაზე ერთიორად მცირდება.

...სტალინის სახელობის სანაპიროზე მშენებარე აუზი — ჩვენი დედაქალაქის მომავალი მშვენება თანდათან იძენს საბოლოო სახეს, მის ტრიბუნებზე, დარბაზებში, ოთახებში, აუზებში, სარდაფებში... ყოველდღე ორი ასეული სპეციალისტი მაინც საქმიანობს. მათი უმეტესობა სამაგალითოდ შრომობს, მაგრამ ყველაფერს ვერ ასწრებენ, იქნებ იმიტომაც, რომ ზოგჯერ ისეთი საქმის კეთება უხდებათ, რომლის შესასრულებლად კვალიფიციური მუშის მოცდენა პირდაპირ საცოდაობაა. აი, სწორედ ახლაა საჭირო შაბათობები, რომლის მონაწილეებს შეეძლებათ ტრიბუნების, დარბაზების, ოთახების დასუფთავება, ნარჩენების გატანა...

ერთი ასეთი შაბათობა უკვე გამართეს წყალბურთში საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატის მონაწილეებმა „ლოკომოტივის“, „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, განათლების განყოფილების და სხვათა სპორტსმენებმა თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან („დინამოს“ წყალბურთელებმა თანატოლთა ამ წამოწყებას რატომღაც მხარი არ აუბეს).

წყალბურთელებს სხვებმაც უნდა მიბაძონ, დედაქალაქის თვითეულმა სპორტსმენმა, თვითეულმა კომკავშირელმა თავისი მცირე წვლილი მაინც უნდა შეიტანოს აუზის დროულად საექსპლოატაციოდ გადაცემის საქმეში.

**ო. გელაშვილი.**

* * *

სურათზე: მოზარდი წყალბურთელები შაბათობაზე.

---

## ცხინვალი

კომკავშირისა და დოსააფის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებმა გამართეს მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში პირად-გუნდური პირველობა. გამარჯვება მოიპოვა ცხინვალის მეოთხე საშუალო სკოლის მოსწავლემ ზ. ახალკაცმა. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო ცხინვალის კოლექტივი. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ჯავისა და ზნაურის რაიონების გუნდები.

## ლენინგორი

ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა თხილამურებით რბოლაში. გოგონებს შორის ერთ კილომეტრზე ასპარეზობა მოიგო მე-2 სკოლის მოსწავლემ ნ. მიქელოვამ. ბიჭები 1500 მეტრზე ცდილნენ ძალას. აქ იმარჯვა იკოთის საშუალო სკოლის მოსწავლემ თ. ჩიტიშვილმა.

**მ. მელქოევი.**

## ჩხოროწყუ

ჩხოროწყუს 1-ლი საშუალო სკოლის ბაზაზე ჩატარდა ამ სასწავლებლის მასწავლებელთა პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. ვაჟებში 50 შესაძლებლიდან 48 ქულით იმარჯვა ფიზკულტურის მასწავლებელმა ა. ბერიამ. ქალთა შორის უძლიერესი იყო ფიზიკის მასწავლებელი ც. კაკულია — 42 ქულა.

**ს. ჯალაღონია.**

## აბაშა

აქ გაიმართა რაიონული შეჯიბრება პნევმატური შაშხანის სროლაში. სარბიელზე 120 მონაწილე გამოვიდა. საშუალო სკოლების გუნდებს შორის იმარჯვა პირველი მაისის სკოლის ნაკრებმა, 8-წლიან სკოლებში ყველას აჯობა ნოღოხაშის გუნდმა. პირად პირველობაზე ეწერელმა გ. გაბუნიამ და ძველაბაშელმა შ. შოთაძემ 50-დან 47-47 ქულა მოაგროვეს.

**რ. ჭანტურია.**

---

# უფერული შედეგები. პერსპექტივა?

**თბილისში,** არმიის სპორტული კლუბის დარბაზში ჩატარდა დედაქალაქის პირადგუნდური პირველობა აკრობატიკაში. საასპარეზოდ გამოვიდნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის, თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალიზებული სპორტული სკოლისა და „შრომითი რეზერვების“ საქალაქო საბჭოს სპორტსმენები, სულ 39 აკრობატი. მონაწილეთა ასეთი სიმცირე იმითაა გამოწვეული, რომ ბევრი სპორტული ორგანიზაცია არ ზრუნავს სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის, არ ეწევა სააგიტაციო-პროპაგანდულ მუშაობას. ჩვენს რესპუბლიკაში აკრობატიკის მასობრივად დანერგვას ისიც უშლის ხელს, რომ ერთობ ღარიბია შეჯიბრებათა კალენდარი — მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ოთხი ადგილობრივი მასშტაბის ღონისძიება ტარდება. კარგი იქნება, თუ ცალკე გაიმართება უმაღლესი სასწავლებლების პირველობა. აუცილებელია, აგრეთვე, ამხანაგური სამატჩო შეხვედრების მოწყობა მოკავშირე რესპუბლიკების კოლექტივებთან. ჩვენს აკრობატებს აშკარად აკლიათ საშეჯიბრებო გამოცდილება, რაშიც ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა თბილისის პირველობის შედეგებმა: სპორტის ოსტატის პროგრამით მოასპარეზეთა უმრავლესობამ სანორმატივო მოთხოვნები ვერ შეასრულა.

გთავაზობთ თბილისის ჩემპიონთა ტექნიკურ შედეგებს: ხტომები (სპორტის ოსტატისა და ოსტატობის კანდიდატის პროგრამით). ქალები. ნ. ხიდაშელი (35,79 ქულა), ი. ბუჩუკური (35,79); ვაჟები. ზ. კილაძე (34,69), გ. ბოტკოველი (ოთხივე — სპორტსკოლა, 35,60).

ქალთა წყვილი. მ. შეროზია, მ. ტექტუმანიძე (სპორტსკოლა, 31,68).

ვაჟთა წყვილი. მ. ზქლიხიანი, ს. სისოევი („შრომითი რეზერვები“, 35,89).

შერეული წყვილი. გ. გოგიჩაიშვილი, ვ. მარქარიანი („შრომითი რეზერვები“, 29,05).

გოგონათა ჯგუფური ვარჯიში. ნ. კიკილაშვილი, მ. მნათობიშვილი, მ. შალაკაძე (სპორტსკოლა, 35,60).

ვაჟთა ჯგუფური ვარჯიში. გ. კაკაშვილი, ა. არუთუნიანი, ვ. თურქაძე, პ. სუთიძე („შრომითი რეზერვები“, 36,46).

გუნდური ადგილები ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა: სპორტსკოლა, „შრომითი რეზერვები“, ფიზკულტურის ინსტიტუტი.

**მ. ქელეხსაშვილი.**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

---

# სპარტაკიადაზე გამოჩენით

ჩატარდა თერჯოლის რაიონის სკოლების IX საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში.

კალათბურთელთა ტურნირში სოფელ ძევრის სკოლის მოსწავლეებმა იმარჯვეს, მაგიდის ჩოგბურთში კი გოდენელები პირველობდნენ.

**მ. ქუტალაძე.**



# ნორჩ მუშკეტერთა საფიქრალი

…უთაისი მდიდარი საფარიკაო …დიციების ქალაქია. აქ აღზრდი… მუშკეტერები წარმატებით იცა… ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას …ვშირო თუ საერთაშორისო ტუ…რებში.
…არგი საქმე გააკეთა რესპუბ…ის განათლების სამინისტრომ: …ლ წელს ქალაქის 23-ე საშუა… სკოლის ბაზაზე შეიქმნა ფა…აობის სპეციალური ჯგუფი, …მელიც პერსპექტიული გოგო…ებით დაკომპლექტდა. ნორჩ მუ…ტერებს ფარიკაობის ანბანს ას…ლიან ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის მწვრთნელები: თ. ოყროშიძე, თ. მანაგაძე და თ. კეზევაძე. სამწუხაროდ, წვრთნა-ვარჯიშის ნორმალურად ჩატარებას ხელს უშლის საფარიკაო კოსტიუმების ნაკლებობა. ეს ნაწარმი იშვიათად არის ქალაქის სავაჭრო ქსელში. ურიგო არ იქნება, თუ ამ საკითხით სპორტის ადგილობრივი მესვეურები დაინტერესდებიან.

* * *

სურათზე: ვარჯიშს ატარებს მწვრთნელი თ. კეზევაძე.

თ. ქიქავას ტექსტი და ფოტო.

# ტირაჟი და მისი შედეგები

●

# ყურადღება: სიახლე!

…პორტული ლატარიების მთა…მა სამმართველომ შეაჯამა შე…ები „სპორტლოტოსა“ და „სპო…ლოტო-2“-ის მეათე ტირაჟისა, …მელიც 8 მარტს მოსკოვში მო…ო.
„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი …ავინ გამოიცნო; ხუთი ნომრის …ოცნობისთვის მოგება — 1099 …თია, ოთხისთვის — 34, სამი…ის — 3.
„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომე…აქაც ვერავინ გამოიცნო; ხუთი …რის გამოცნობისთვის მოგება …870 მანეთია, ოთხისთვის — 25, …ისთვის — 3.
…ოგებული თანხა გაიცემა 19 …ტიდან 19 აპრილის ჩათვლით.
…ვში მოსკოვში მოეწყო „შა…ის სპორტლოტოს“ მორიგი, მე… ტირაჟი.
…, იღბლიანი ციფრები:
…ირველი: 4, 8, 28, 32, 36.
…ეორე: 3, 11, 29, 33, 36.
…იმდინარე წლის 15 მარტის …11 ტირაჟიდან კიდევ ერთი სიახლე ელოდება სპორტულ-რიცხობრივი ლატარიის მოყვარულებს.
„სპორტლოტო“ და „სპორტლოტო-2“-ში ექვსი ბურთულის გათამაშების შემდეგ ლოტოტრონიდან გამოდის მეშვიდე ბურთულა, რომელსაც „შეღავათიანი ბურთულა“ ეწოდება. ამჯერად შეღავათიანი ბურთულა მოგების დანამატს მოუტანს არა მარტო „ხუთოსნებს“, არამედ „ოთხოსნებსაც“.
ასეთი ბარათები მოგებულად ჩაითვლება სისტემით „4+1“ და ოთხ ამოცნობილ სპორტულ სახეობას დაემატება მოგება 25 მანეთის ოდენობით.
ვუსურვებთ წარმატებებს სპორტული ლატარიის ყველა მოყვარულს, რომლებიც თამაშობენ „სპორტლოტოს“ „6 49“-დან და შევახსენებთ, რომ „სპორტლოტო“ და „სპორტლოტო-2“-ის ბარათებში გადახაზონ მხოლოდ და მხოლოდ 6 სპორტული სახეობა.

გ. გაგუნია,
„სპორტლოტოს“ რესპუბლიკური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

დასავლეთის სამყარო პროფესიონალიზმის ცნებას ხშირად უმაღლეს სპორტულ ოსტატობასთან აიგივებს და ამით ერთგვარ გადაულახავ ბარიერს ქმნის პროფესიონალურსა და სამოყვარულო სპორტს შორის. სამოყვარულო სპორტი, მართლაც, საფუძველშივე განსხვავდება პროფესიონალურისგან, მაგრამ არა იმ ნიშნებით, რასაც დასავლეთის იდეოლოგები აღნიშნავენ. სამოყვარულო სპორტი, პირველ ყოვლისა, ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურშია ჩაყენებული, და, რა თქმა უნდა, მისი სოციალური განვითარების ტენდენციებს ისახავს.

პროფესიულ სპორტს უფრო ლოკალური მიზნები აქვს დასახული. მათ შორის უმთავრესია შემოსავალი, ბიზნესი, კაპიტალი. შემოსავალი სპორტის ინდუსტრიის საკეთილდღეოდ, ბიზნესი ყველა გზითა და საშუალებით, ხშირად ადამიანის სიცოცხლის ფასადაც. რაც შეეხება პროფესიონალთა მაღალ ოსტატობასა და მოყვარულთათვის მიუღწეველ დონეს, ეს მითი უკვე კარგა ხანია დაიმსხვრა ორი სამყაროს სპორტსმენთა მრავალგზის შეხვედრებში.

და თუ პროფესიონალურ სპორტს ეს უკანასკნელი კოზირიც გამოეცალა, რაღა დარჩა მისგან წმინდა პროპაგანდის გარდა?

ამას წინათ ლოს-ანჯელესის ჰოსპიტალში მიიყვანეს ახალგაზრდა კაცი გატეხილი თავის ქალითა და ტვინის შერყევის ნიშნებით. პირველი შთაბეჭდილების მიხედვით, დაზარალებული ავტოკატასტროფის მსხვერპლი უნდა ყოფილიყო. მაგრამ სულ მალე გაირკვა, რომ მოიყვანეს სპორტული დარბაზიდან, სადაც მიმდინარეობდა კალათბურთელთა მატჩი ადგილობრივ „ლეიკერსსა“ და ჰიუსტონის „როკეტს“ შორის.

რუდი ტომიანოვიჩმა, ჰიუსტონელთა ერთ-ერთმა უძლიერესმა კალათბურთელმა მძიმე ტრავმა მიიღო „ლეიკერსის“ მოთამაშესთან კერმიტ უოშინგტონთან შეჯახების დროს. უფრო სწორად, ტომიანოვიჩმა გამანადგურებელი დარტყმა მიიღო სწორედ მაშინ, როცა გადაწყვიტა გამოსარჩლებოდა ერთ თანაგუნდელს. დაზარალებული მთელი თვე ებრძოდა სიკვდილს და ბოლოს გადარჩა, თუმცა ჯერ კაცმა არ იცის, შეძლებს თუ არა როდესმე კალათბურთის თამაშს.

ამ ინციდენტს ფართო რეზონანსი ჰქონდა. შეიქმნა გარკვეული საზოგადოებრივი აზრი, რამაც დააფრთხო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობა. და რომ ამ შემთხვევას სპეციალური კომპანიის ხასიათი არ მიეღო, ასოციაციის პრეზიდენტმა დამნაშავის მკაცრი დასჯა გადაწყვიტა. კერმიტ უოშინგტონი დაჯარიმდა 10 ათასი დოლარით. იგი ამავე დროს დისკვალიფიცირებულია ორი თვით. ამ ვადის გასვლის შემდეგ უოშინგტონმა პატიება უნდა სთხოვოს ასოციაციას. მაგრამ თუ მანამდე ტომიანოვიჩი არ გამოეწერა ჰოსპიტლიდან, დისკვალიფიკაციის ვადა ავტომატურად გაგრძელდება.

მაგრამ რა უმსუბუქდება ამით დაზარალებულს? ჯარიმის თანხა გადაეცა ასოციაციის სალაროს. ტომიანოვიჩმა კი შესაძლოა დაკარგოს არსებობის მთავარი წყარო. ამ ინციდენტის შემდეგ აიწეწა ჰიუსტონელთა საქმეები — ისინი ძირითადი მოთამაშის გარეშე, შეხვედრას შეხვედრაზე აგებენ და ახლა მთელს იმედებს საპასუხო მატჩსა და მაშასადამე შურისძიებაზე ამყარებენ. ცოტა ხანში „ლეიკერსი“ საპასუხო ვიზიტით ეწვევა ჰიუსტონს — ტეხასის შტატის ერთ-ერთ მთავარ ქალაქს. ტეხასში კი, მოგეხსენებათ, ყველა სახის დავა პისტოლეტებით წყდება. ესე იგი მოსალოდნელია ახალი უბედურება, ახალი მსხვერპლი...

კორუფცია პროფესიული სპორტის ერთი მამოძრავებელი ღერძია. მაგრამ პროფესიულ სპორტში კორუფციასთან ერთად ფართოდაა დანერგილი ძალადობა, სიმკაცრე, დაუნდობლობა.

ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში ხშირად ლაპარაკობენ სისხლიან „როლერბოლზე“. ამ თემაზე სპეციალური კინოსურათიც შეიქმნა. რა არის „როლერბოლი“, ფანტასტიკა თუ მომავლის სპორტი? უფრო მეტად მეორე, რომელიც თავის თავში აერთიანებს რეალურად არსებულ ჰოკეის, რესლინგს, კეტჩს, ამერიკულ ფეხბურთსა და... კალათბურთს, დიახ, კალათბურთსაც, ერთ დროს უვნებელი სპორტის სახეობას.

...ამ ცოტა ხნის წინ პარიზის რინგზე ერთმანეთს შეხვდნენ ევროპის ჩემპიონი პროფესიონალთა შორის საშუალო წონაში, დასავლეთგერმანელი იორგ აიპელი და ტიტულის პრეტენდენტი ფრანგი ალენ მარიონი. ბრძოლა გაგრძელდა 15 რაუნდს და დამთავრდა... ჰოსპიტალში. სასწრაფო დახმარების მანქანამ გერმანელი მოკრივე პირდაპირ სარეანიმაციო ბლოკში მიიყვანა.

შეიძლებოდა კი ამ მძიმე შემთხვევის თავიდან აცილება? რა თქმა უნდა შეიძლებოდა, მსაჯს რომ დროზე შეეჩერებინა ბრძოლა. მაგრამ გამხეცებულმა ბრბომ და აზარტში შესულმა მსაჯმა რამდენიმე წამით გაახანგრძლივა „სიამოვნება“ და ბრძოლამ უფრო უსიამოვნო ხასიათი მიიღო.

მაგრამ აქ მხედველობაში მისაღებია ერთი ნიუანსიც, რამაც საკმაოდ გააპიანურა აიპელის გამოჯანმრთელება. მას ბრძოლის წინ საკმაო დოზით ჰქონდა მიღებული დოპინგი, ხელოვნური სტიმულატორი, რომლის დახმარებითაც ცდილობდა ტიტულის შენარჩუნებას. კიდევ კარგი, რომ ამჯერად ყველაფერი კეთილად დასრულდა. აი მეორე შემთხვევაში კი დასავლეთგერმანელ იუპ ელცესა და იტალიელ კარლოს ლურანის ბრძოლაში დოპინგმა ტრაგიკულად დაასრულა გერმანელი მოკრივის კარიერა. ნოკაუტის შემდეგ ტრავმირებული მოკრივე გონს ვერ მოვიდა საავადმყოფოში და გარდაიცვალა.

ერთი უბედურება, როგორც წესი, ახლა, უფრო მძიმე უბედურებას წარმოშობს ხოლმე. ამის საშიშროებას ვეღარ მალავს პროფესიული კალათბურთის ისეთი ცნობილი სპეციალისტი, როგორიცაა ლარი ობრაიენი — კალათბურთის ეროვნული ასოციაციის კომისარი. მისი აზრით, ძალადობამ ისე ღრმად გაიდგა ფესვები კალათბურთში, რომ ამას ვეღარაფერი ეშველება. ახლა მთავარია ძალადობამ ტრიბუნებზე არ გადაინაცვლოს და ტოტალური უბედურების მიზეზი არ გახდეს.

ერთხელ, იმავე „ლეიკერსის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა, აშშ-ს პროფესიული კალათბურთის პირველმა ნომერმა „ვარსკვლავმა“ კარიმ აბდულჯაბარმა (ადრე მას ალსინდორის გვარით იცნობდნენ) ისეთი ძალით დაარტყა მეტოქეს, რომ იგი მთელი თვე ვერ წამოდგა ფეხზე. ამ ინციდენტს მოყვა მასობრივი ჩხუბი ტრიბუნებზე, რომლის პროცესშიც 18 მაყურებელი მძიმედ დაშავდა. აბდულჯაბარი დაჯარიმდა 5 ათასი დოლარით, მაგრამ დაზარალებული მაყურებლებისთვის ეს მცირე ნუგეში იყო.

ძალადობის როლის ზრდა პროფესიულ სპორტში ბუნებრივი პროცესია თუ მხედველობაში მივიღებთ მის გამომწვევ მიზეზებს. დამნაშავეა საზოგადოება, რომლის მორალი, პირველ ყოვლისა, პისტოლეტისა და მუშტის კულტს გულისხმობს.

# ძალადობა — მისი მიზეზები და მსხვერპლი

## სპორტი კაპიტალის სამყაროში



# ოლიმპიური მარშრუტით

ინსბრუკი — ლეიკ-პლესიდი — მოსკოვი... ასეთია ორი ავსტრიელი მრბოლელის — რუდი ლინცისა და გერჰარდ პლატნერის მიერ შესრულებული მარათონული ავტოგარბენის ძირითადი მარშრუტი. ვიდრე 9 მარტს საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქის ქუჩებში გამოჩნდებოდა, ნარინჯისფერმა „პორშემ“ ევროპისა და ჩრდილო ამერიკის 9 ქვეყნის გზებზე 26 ათასი კილომეტრი გაიარა.

— ზამთრის ორი ოლიმპიადის ქალაქიდან — ინსბრუკიდან ოლიმპიური სალამი „ჩამოვიტანეთ“ XXII საზაფხულო ოლიმპიური თამაშების დედაქალაქ მოსკოვში, — საკდესის კორესპონდენტს უთხრა ავტორბოლაში ავსტრიის მრავალგზის ჩემპიონმა პლატნერმა. — დიდის სიამოვნებით ვიგონებთ „თეთრ ოლიმპიადა-76“-ში საბჭოთა სპორტსმენთა ბრწყინვალე გამოსვლებს. ვიმედოვნებთ, რომ მოსკოვის ოლიმპიადაზე ჩამოვალთ.

ავსტრიელმა მრბოლელებმა ოლიმპიადა-78-ის საორგანიზაციო კომიტეტს გადასცეს 1976 წლის ინსბრუკის ოლიმპიადის ორგანიზატორების მისასალმებელი ადრესი და წარმატებების სურვილი. (საკდესი).

### ქარხანა „ჩაიკა“ — „მოსკოვი-80“-ის სამსახურში

კრასნოდარის ფაიფურისა და …მანურის ქარხანა „ჩაიკაში“ აით…ისეს 150 დასახელების ახალი, მათ შორის ოლიმპიურსიმბოლოიანი …აწარმის გამოშვება.

სურათზე: მხატვარი ს. დიო…კინა ოლიმპიურსიმბოლოიანი ფი…ჯნების მოხატვისას.

ს. ნიკოლაევის ფოტო.

# აეროპორტის პირველი მგზავრები

რეკონსტრუქციის შემდეგ ორჯერ გაიზრდება ქვეყანაში უდიდეს, ხაბაროვსკის აეროპორტში მგზავრთა გადაყვანა.

მარმარილოში, მინაპლასტიკასა და ალუმინში ჩასმული აეროპორტის პირველი მგზავრები იქნებიან წყნარი ოკეანის სანაპირო ქვეყნებიდან მოსკოვს მიმავალი ოლიმპიადა-80-ის მრავალრიცხოვანი მონაწილენი და სტუმრები. ზებგერითი ტუ-144 3 საათ-ნახევრის განმავლობაში, ან სხვა ტიპის ლაინერები 7-8 საათის შემდეგ სტუმრებს ჩაიყვანენ სპორტული ფორუმის დედაქალაქში.

ტურისტები შეძლებენ, აგრეთვე, ამურზე მდებარე ქალაქის ღირსშესანიშნაობების გაცნობას.

ი. გოლოდნიცკი.

ხაბაროვსკი.

# პირველი შეხვედრები

რუსთავში, საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის სარბიელზე სტარტი აიღო მოტობურთში რესპუბლიკურმა შეჯიბრებამ, რომელშიც სპორტტექნიკური კლუბი „მზიური“, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის „პოლიტექნიკი“, ქუთაისის „კოლხეთი“ და ახმეტის „იმედი“ მონაწილეობენ.

უკვე გაიმართა პირველი შეხვედრები. „მზიურმა“ დაამარცხა „კოლხეთი“ — 5:1, ხოლო „პოლიტექნიკმა“ — „იმედი“ — 2:0. ტურნირის მიზანია საქართველოს უძლიერესი კოლექტივის გამოვლენა, რომელიც საკავშირო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

● ● ●

სურათზე: „მზიურისა“ და „კოლხეთის“ შეხვედრის მომენტი.

ე. რეხვიაშვილის ტექსტი და ფოტო.



## მსოფლიო ჭადრაკის მატიანე

# მხოლოდ მორალური უპირატესობით

ავსტრიელი კ. შლეხტერი ისეთი ბუნების კაცი იყო, რომ თავისი ინიციატივით არ გამოიწვევდა ე. ლასკერს მსოფლიო პირველობაზე მატჩში. თავად მსოფლიო ჩემპიონი 1906 წელს, ოსტენდის საერთაშორისო ტურნირში ავსტრიელი დიდოსტატის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ წერდა: „შლეხტერს შეიძლება შესწევს ძალა, იბრძოლოს მსოფლიო პირველობისთვის, მაგრამ ძალიან უყვარს წყნარი ცხოვრება, არ გააჩნია საკმაო ტემპერამენტი და, ალბათ, არც შეუძლია უკიდურესად დაძაბოს ნებისყოფა, რომ სხვას მოსტაცოს მსოფლიო პირველობა". მხოლოდ საზოგადოებრიობის სურვილით და მეგობრების დაჟინებით 1908 წელს მან ორთაბრძოლაში გამოიწვია ჩემპიონი.

კარლ შლეხტერი (2. III. 1874 — 27. XII. 1918) უკეთილშობილესი ადამიანი იყო, თავმდაბალი და ყველას პატივისმცემელი. ჭადრაკს ჭაბუკობაში ეზიარა და მთელი ცხოვრება მას შესწირა. სარბიელზეც შლეხტერი კაცთმოყვარეობისა და პატიოსნების განსახიერება იყო. მეტოქეს საათის გადართვა თუ დაავიწყდებოდა, აუცილებლად შეახსენებდა. ერთხელ (პეტერბურგი, 1909 წ.) ლასკერმა ნახევარი საათით დაიგვიანა თამაშზე. შლეხტერმა უარი თქვა დროის ფორაზე, არ შეუდგა თამაშს, ვიდრე საათზე დრო არ გათანაბრდა.

შლეხტერი ვ. სტეინიცის სტილის მიმდევარი იყო. უყვარდა პოზიციური, საიმედო თამაში. მიუხედავად იმისა, რომ ვეებერთელა კომბინაციური ნიჭი ჰქონდა, მაინც თავს არიდებდა ზედმეტად გაბედულ, რისკიან შეწირვებს. იგი არ იყო მებრძოლი მოთამაშე. სწორედ ამ გარემოებამ წარმოშვა „შლეხტერის პრობლემა", რომელიც ლასკერმა ვერ გადაჭრა.

პრაქტიკულ თამაშში შლეხტერი ძლიერი დიდოსტატი იყო. მართალია, მას ყაიმით უფრო მეტი პარტია ჰქონდა დამთავრებული, ვიდრე გამარჯვებით, მაგრამ მაინც თვალსაჩინო წარმატებებს აღწევდა, განსაკუთრებით 900-იან წლებში.

ლასკერმა მიიღო შლეხტერის გამოწვევა. ოღონდ მოითხოვა ეთამაშათ 30 პარტია, გასამარჯველოდ კი ათასი დოლარი დაასახელა. მაგრამ ავსტრიელი დიდოსტატის მეგობრებმა ვერ შეაგროვეს საჭირო თანხა. მაშინ მსოფლიო ჩემპიონი დათანხმდა 10 პარტიისგან შემდგარი მატჩის თამაშს იმ პირობით, თუ იგი დარჩებოდა ჩემპიონად, როგორც ყაიმის (5:5), ისე ანგარიშის 4,5:5,5 შემთხვევაში. შლეხტერმა მიიღო ეს წინადადება, თუმცა ორი ქულის სხვაობით ლასკერის დამარცხებისა ნაკლებად სჯეროდა.

ლასკერ — შლეხტერის მატჩი მიმდინარეობდა 1910 წლის 7 იანვრიდან 10 თებერვლამდე. პირველი ხუთი პარტია გათამაშდა ვენაში, დანარჩენი ხუთი — ბერლინში.

პირველი ორი პარტია ყაიმით რომ დამთავრდა, ლასკერმა დაწერა: „შლეხტერი არ იბრძვის ინიციატივისთვის. როგორ უნდა მოუგო კაცს, რომლისთვისაც უსაფრთხოება მთავარი მიზანია, ნამდვილად არ ვიცი".

მსოფლიო ჩემპიონის ფსიქოლოგიურმა მეთოდმა შლეხტერთან პაექრობაში ვერ გაჭრა. ავსტრიელი მოჭადრაკე აუღელვებლად თამაშობდა, ზრუნავდა მხოლოდ პოზიციის სიმტკიცეზე, ციხე-კოშკის აგებაზე.

მომდევნო ორი პარტიაც ყაიმით დასრულდა, თუმცა ლასკერს შეეძლო IV პარტიის მოგება, მაგრამ მან ვერ შეძლო უპირატესობის რეალიზება.

მსოფლიო ჩემპიონმა ვირტუოზულად წარმართა V პარტია და მოსაგები პოზიცია მიიღო. მაგრამ აქაც უმტყუნა ნაქებმა ტექნიკამ, შეცდა და თავდაუზოგავი წინააღმდეგობის მიუხედავად დამარცხდა.

ამ გამარჯვებამ ოდნავადაც არ შეაცვლევინა ტაქტიკა შლეხტერს. იგი კვლავ დარბაისლურად, ყაიმის მიჯნაზე თამაშობდა. ლასკერმა ვერაფერი გააწყო. ზედიზედ ყაიმით დამთავრდა VI, VII, VIII და IX პარტიები. ბოლო შეხვედრაში ლასკერს უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ლიდერობდა შლეხტერი—5:4.

შეიქმნა დრამატული სიტუაცია: X პარტიის მოგება შლეხტერს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს აძლევდა. აუღელვებელი ავსტრიელი გამოვიდა თავისი „ნაჭუჭიდან". მან აგრესიული თამაში შესთავაზა ლასკერს. გაჩაღდა დიდი ბრძოლა, რომელიც შლეხტერის უპირატესობით მიმდინარეობდა. კრიტიკულ მომენტში მაინც ლასკერის ფოლადისებურმა ნებისყოფამ გაიმარჯვა.

5:5 — ასე დასრულდა ეს მოკლე, მაგრამ მძაფრ ჭიდილში მიმდინარე მატჩი.

მსოფლიო ჩემპიონმა გულახდილად თქვა: „შლეხტერის თამაშში ვერ ვამჩნევდი სუსტ ადგილებს. იგი ერთნაირი წარმატებით თამაშობს დებიუტს, მიტელშპილსა და ენდშპილს". საჭადრაკო პრესაში გამოითქვა აზრი, რომ შლეხტერი ლასკერის ტოლი მოჭადრაკეა. მაგრამ ეს შეცდომა იყო. არავინ აღიარა, რომ მსოფლიო ჩემპიონი ვერ თამაშობდა ისე მძლავრად, მარჯვედ, როგორც მაგალითად, მატჩებში ფ. მარშალთან, ზ. ტარაშთან და დ. იანოვსკისთან.

მართალი იყო მხოლოდ რუსული ჟურნალი „შახმატნოე ობოზრენიე", რომელიც წერდა, რომ დამთავრებული მატჩიდან შლეხტერს მხოლოდ მორალური უპირატესობა დარჩაო.

ამ მატჩის შემდეგ შლეხტერს კიდევ ჰქონდა წარმატებები. ჰამბურგის 1910 წლის ტურნირში შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ, მეგობრებმა მოიწადინეს მსოფლიო ჩემპიონთან მისი განმეორებითი შეხვედრის მოწყობა, მაგრამ თავმდაბალმა შლეხტერმა უარი თქვა. მან ჟურნალისტის სამუშაო ამჯობინა. დიდი ხნის მანძილზე იგი სახელგანთქმული ჟურნალის „დოიჩე შახცაიტუნგის" რედაქტორი იყო. მსოფლიო ომმა, სიღარიბემ და შიმშილმა მოუსწრაფა სიცოცხლე შლეხტერს.

**თ. გიორგაძე.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

**მიმდინარე სეზონში ბრწყინვალედ ასპარეზობენ აშშ-ის მოციგურავეები — და-ძმა ჰეიდენები. 20 წლის ერიკმა და 18 წლის ბეტმა კანადაში ახალგაზრდათა შორის მსოფლიო პირველობა მოიპოვეს. ლეიკ-პლესიდში (აშშ) ჩატარებულ სპრინტერ მრავალჭიდელთა მსოფლიო პირველობაზე ძმამ ოქროს მედალი დაიმსახურა, დამ კი — ვერცხლისა.**

### და-ძმა ჰეიდენების იღბლიანი სეზონი

## ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

### გდრ

XV ტურში ლიდერის — „მაგდებურგის" მატჩი ერფურტის „როტ-ვაისთან" არ გამართულა, ვინაიდან მსაჯმა დაიწუნა მაგდებურგის მინდორი. დრეზდენის „დინამომ" შინ მიიღო ცვიკაუს „ზაქსენრინგი" და გაიმარჯვა ანგარიშით 5:0. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მატჩს ბერლინში საპრიზო ადგილების პრეტენდენტების, ადგილობრივი „დინამოსა" და ლაიფციგის „ლოკომოტივს" შორის. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „დინამომ".

15 ტურის შემდეგ წინ არის „მაგდებურგი", რომელმაც ერთი შეხვედრით ნაკლები ჩაატარა და 23 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულა ოღონდ 15 თამაშის შემდეგ, აქვს დრეზდენის „დინამოს". 20 ქულით მესამე ადგილზეა ბერლინის „დინამო".

### ჩეხოსლოვაკია

მეორე წრის დასაწყისში განიმტკიცა მდგომარეობა ბრნოს „ზბროიოვკამ". თუ მე-16 ტურში მან სტუმრად სძლია (3:0) „შკოდას", შემდეგ ტურში უკვე მოიგო 4:1 ბანსკა-ბისტრიცას „დუკლასთან". ამასობაში ბრნოელთა უახლოესი კონკურენტი პრაღის „დუკლა" ბრატისლავაში დამარცხდა „სლოვანთან" — 1:2.

17 ტურის შემდეგ 26 ქულით პირველ ადგილზეა ბრნოს „ზბროიოვკა", 23 ქულა აქვს პრაღის „დუკლას", 22 — კოშიცეს „ლოკომოტივს", 20-20 — პრაღის ორ გუნდს — „ბოჰემიანსსა" და „სლავიას".

სნაიპერთა შორის პირველ ადგილზეა ეროვნული ნაკრებისა და „ზბროიოვკას" ცენტრფორვარდი კროუპა — 14 გოლი.

### პოლონეთი

ნათამაშევია 20 ტური. ლიდერმა, კრაკოვის „ვისლამ", შინ ანგარიშით 2:1 მოუგო ბიდგოშჩის „ზავიშას" და 28 ქულით კვლავინდებურად პირველ ადგილზეა. 26 ქულით მეორე ადგილზეა პოზნანის „ლეხი", რომელიც ბიტომში დამარცხდა (1:2) „შომბიერკისთან". ვროცლავის „შიონსკმა" ხორჟუვში დაამარცხა ადგილობრივი „რუხი" — 1:0 და 24 ქულით III ადგილზეა.

დიდი მოულოდნელობაა პოლონეთის მრავალგზის ჩემპიონ „გურნიკის" (ზაბჟე) წარუმატებლობა. 20 ტურის შემდეგ გუნდი 15 ქულით XV, ბოლოსწინა ადგილზე იმყოფება და პირველი ლიგის დატოვება ემუქრება. 36 წლის შოლტისიკს, რომელიც კვლავ გამოდის „გურნიკში", მხოლოდ ერთ ტაიმში შეუძლია თამაში და შემდეგ აშკარად ილლება. სუსტად თამაშობენ დაცვაში ნაკრების წევრები გორგონი და ვიჩორეკიც.



### უნგრეთი

22 ტურის შემდეგ ჩემპიონატში ძალიან მძაფრი სიტუაციაა. ჩემპიონობისთვის 5 გუნდი იბრძვის და მათ შორის განსხვავება მცირეა.

ერთ-ერთმა პრეტენდენტმა, ბუდაპეშტის „ჰონვედმა" დამაჯერებელი გამარჯვება (4:0) მოიპოვა „სეგედთან". ნაკრების მწვრთნელი ბაროტი, რომელიც ამ მატჩს ესწრებოდა, კმაყოფილი დარჩა გუიდარის (მეკარე), პინტერის (ნახევარმცველი) და კოზმას (ცენტრალური თავდამსხმელი) თამაშით. მტკ-მ (ბუდაპეშტი) სტუმრად სძლია „დუნაივაროშს" — 2:1. კიდევ ერთი ლიდერი „დოჟა-უიპეშტი" სტუმრად ფრეს დასჯერდა (1:1) სომბათჰეის „ჰალადაშთან".

22 ტურის შემდეგ ბუდაპეშტის 3 გუნდს „ჰონვედს", „დოჟა-უიპეშტსა" და მტკ-ს 31 ქულა აქვს თვითოეულს. შეკეშფეჰერვარის „ვიდეოტონს" და „ვაშაშს" (ბუდაპეშტი) — 29-29 ქულა.

### გფრ

27-ე ტურში მინდვრების ძალზე ცუდი მდგომარეობის გამო მსაჯებმა შეუძლებლად მიიჩნიეს 4 მატჩის ჩატარება.

ცენტრალური შეხვედრა გაიმართა კიოლნში, სადაც ლიდერმა „კიოლნმა" მიიღო მეორე ადგილზე მყოფი „ბორუსია" (მიონხენგლადბახი). 39-ე წუთზე სტუმრების თავდამსხმელმა სიმონსენმა გახსნა ანგარიში. თამაშის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ფლოემ, რომელიც ამჟამად „კიოლნის" საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება, გაათანაბრა ანგარიში — 1:1. სხვა შეხვედრებში „შტუტგარტმა" ანგარიშით 3:1 სძლია „მიუნხენ 1860"-ს, სახიფათო ზონას, როგორც იქნა დაშორდა მიუნხენის „ბაიერნი", რომელმაც შინ ანგარიშით 2:0 დაამარცხა „ჰამბურგერ შპორტფერაინი". ერთი ბურთი გაიტანა გ. მიულერმა, რომელიც 22 გოლით პირველ ადგილზეა სნაიპერთა შორის.

27 ტურის შემდეგ 37 ქულით პირველ ადგილზეა კვლავინდებურად „ფკ კიოლნი". 33 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი აქვს „ბორუსიას" (მიონხენგლადბახი), 33 ქულა — „ჰერტას" (დას. ბერლინი). 31-31 ქულა მოაგროვეს „შტუტგარტმა" და დიუსელდორფის „ფორტუნამ".

## კუბელები ემზადებიან

**ვარშავა.** პოლონელ მოკრივეთა მწვრთნელმა ჩესლავ პტაკმა სამ კვირას დაჰყო კუბაში, სადაც თვალყურს ადევნებდა კუბელ მოკრივეებს ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრების — აშშ-ის მოკრივეებთან მატჩისა და საერთაშორისო ტურნირის „კორდოვა კარდინის" — წინ.

„კუბაში კრივში ვარჯიშს 12 წლის ასაკში იწყებენ. პროვინციელი ნიჭიერი ახალგაზრდა მოკრივეები ხვდებიან ჰავანის ცენტრალურ ჯგუფში. 14-17 წლის ახალგაზრდებთან მუშაობს მწვრთნელთა ჯგუფი პედრო როკეს მეთაურობით. ახალგაზრდა კუბელი მოკრივეების მწვრთნელია ევროპის ყოფილი ჩემპიონი უმძიმეს წონაში ვიქტორ ბისტროვი (სსრ კავშირი).

ალსიდეს საგაროს ხელმძღვანელობით მოკრივეები დღეში ორჯერ ვარჯიშობენ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თავისუფლების კუნძულის მოკრივეები ძალიან ძლიერები არიან. კუბის გუნდში ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, „კორდოვა კარდინის" ტურნირის ყველაზე „ხნიერი" ფინალისტი იყო 27 წლის ვ. კორონა, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა — 15 წლის ვ. ერნანდესი.

პტაკის აზრით, იუგოსლავიის მსოფლიო ჩემპიონატზე კუბის გუნდში ყველაზე ძლიერი მოკრივეები იქნებიან ხორხე ერნანდესი (პირველი უმჩატესი წონა), სამუელ ბჟოლფორდი (უმჩატესი), ადოლფო ორტა (მჩატე), ანდრეს ალდამა (პირველი ქვესაშუალო), სიქსტო სორია (ქვემძიმე) და თეოფილო სტივენსონი (მძიმე)". (საკდეპი).

### კრივი

**ბონი.** „პროფესიულ კრივში ადამიანებს ცხოველებივით და უფრო ცუდად ექცევიან", — განაცხადეს გფრ-ის ექიმთა კავშირის წარმომადგენლებმა.

ესპანელი მოკრივის რუბიო მელეროს სიკვდილმა და ნოკაუტირებული იორგ აიპელის მძიმე მდგომარეობამ საერთო აღშფოთება გამოიწვია, ამიტომ ამ კავშირმა რინგზე პროფესიონალთა დაცვის უფრო აქტიური საშუალებების გატარება მოითხოვა.

მისი წინადადებით, პროფესიონალთა ბრძოლა არ უნდა აღემატებოდეს 10 რაუნდს, რინგის ექიმს კი მიეცეს უფლება შეწყვიტოს ბრძოლა, როგორც ეს სამოყვარულო კრივშია. მოკრივეებს უნდა ჰქონდეთ დამცველი ჩაფხუტი, ხოლო ნოკაუტით დამარცხების შემდეგ ისინი რინგზე არ დაუშვან სამი თვის განმავლობაში.

„ადამიანის სიცოცხლე, — ნათქვამია ექიმთა კავშირის განცხადებაში, — უფრო მეტი უნდა ღირდეს, ვიდრე გამარჯვებისკენ სწრაფვა და მწვრთნელთა და მენეჯერთა მოგება". (საკდეპი).

**რედაქტორის მოადგილე**
**ზ. ჯაფარიძე.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07726